

შპს „ფერმო ფენსი“-ს ფინანსური ანგარიშგება
2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

(1 ლარი)

	საანგარიშგებო თარიღი		შენიშვნა
	31.12.2020	31.12.2019	
აქტივები			
ფული და ფულის ეკვივალენტები	325844	178945	3.1
სავაჭრო მოთხოვნები	269861	360271	3.2
გადახდილი ავანსები და დარიცხული მისაღები შემოსავალი	187167	340479	3.3
მარაგები	2462179	1793119	3.4
მ.შ. - მზა პროდუქცია	9487	23757	
- სხვა მარაგი	2452692	1769362	
საინვესტიციო ქონება			
სხვა მიმდინარე აქტივები	121262	135514	3.5
სხვა არამატერიალური აქტივები	1947	1542	3.6
ძირითადი საშუალებები	498817	491849	3.6
სულ აქტივები	3867077	3301719	
ვალდებულებები			
ფინანსური იჯარის (ლიზინგის) ვალდებულება			
სავაჭრო ვალდებულებები	77869	369244	3.7
ვალდებულებების და ხარჯების ანარიცხები			
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	4023	502	
საგადასახადო ვალდებულებები	3292	2473	3.8
გამოუმუშავებელი შემოსავალი	79631	52701	3.9
მიმდინარე სასესხო ვალდებულებები			
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები			
მიღებული გრანტებიდან წარმოქმნილი ვალდებულებები			
სხვა ვალდებულებები			
სულ ვალდებულებები	164815	424920	
საკუთარი კაპიტალი			
კაპიტალი (სააქციო კაპიტალი, საპაიო კაპიტალი)	50	50	
გაუნაწილებელი მოგება/ზარალი	3702212	2876749	
სულ საკუთარი კაპიტალი	3702262	2876799	
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	3867077	3301719	

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაქვეყნებლად 30.09.2021 წ.

უფლებამოსილი პირი: _____ იუსუფ იარარი

თანხლები განმარტებითი შენიშვნები არის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილი.

საქმიანობის შედეგები

2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

(1 ლარი)

	საანგარიშგებო პერიოდი		შენიშვნა
	2020	2019	
ნეტო ამონაგები	10922463	9483949	3.10
მ.შ. - საქონლის გაყიდვიდან	10922463	9483949	
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	-8154199	-7336894	3.11
- საწყისი მარაგები		-1396085	
- მარაგების შესყიდვა		-7733927	
საერთო მოგება	2768264	2147055	
სხვა საოპერაციო შემოსავალი	18	7806	
დასაქმებულთა ანაზღაურება	-487858	-382520	
ცვეთა და ამორტიზაცია	-69912	-54901	
საპროცენტო შემოსავალი		2	
საპროცენტო ხარჯი		-388	
იჯარის ხარჯი	-207031	-201407	
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	-227268	-157152	
სულ საოპერაციო ხარჯები	-992051	-788560	
საოპერაციო მოგება	1776213	1358495	
წმინდა შემოსულობა/ დანაკარგი სავალუტო ოპერაციებიდან	-19312	-24256	
მიღებული დივიდენდები			
სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი/ ხარჯი	30321	11956	
მოგება/ზარალი მოგების გადას. ხარჯამდე განგრძ. ოპერაციებიდან	1787222	1346195	
მოგების გადასახადის ხარჯი	-140706	-2667	
საანგარიშგებო პერიოდის მოგება/ ზარალი	1646516	1343528	
სხვა სრული შემოსავალი/ ზარალი			
ძირითადი საშუალებების გადაფასების რეზერვი (მ.შ. ბიოლ. აქტივების)			
სხვა			
სხვა სრული შემოსავალი/ ზარალი, სულ:			
მთლიანი სრული შემოსავალი/ზარალი	1646516	1343528	
კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	2876799	1828008	
ახალი აქციების გამოშვება (შპს-ში კაპიტალის გაზრდა/შემცირება)			
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)	-821053	-294737	
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში			
კაპიტალის სხვა ცვლილებები			
კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	3702262	2876799	

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაქვეყნებლად 30.09.2021 წ.

უფლებამოსილი პირი: _____ იუსუფ იარარი

თანხლები განმარტებითი შენიშვნები არის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილი.

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება
2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის
(1 ლარი)

	საანგარიშგებო პერიოდი	
	2020	2019
ს ა ო პ ე რ ა ც ი ო ს ა ქ მ ი ა ნ ო ბ ა:		
მომხმარებლებისგან მიღებული ფულადი სახსრები	12893103	11110006
მომწოდებლებსა და დასაქმებულ პირებზე გაცემული ფულადი სახსრები	-9810621	-8588278
სხვა	-1923889	-2005917
საოპერაციო საქმიანობიდან შემოსული ფულადი სახსრები	1158593.8	515811
გადახდილი მოგების გადასახადი	-111454	-1255
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	1047139.75	514556
ს ა ი ნ ვ ე ს ტ ი ც ი ო ს ა ქ მ ი ა ნ ო ბ ა:		
ფულადი სახსრების გასვლა გრძელვადიანი აქტივების შეძენისა და გაუმჯობესებისათვის	-126180	-100923
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან	-126180	-100923
ს ა ფ ი ნ ა ნ ს ო ს ა ქ მ ი ა ნ ო ბ ა:		
ფულადი სახსრების შემოსვლა სესხებიდან		
სესხის ძირის გადახდა		-34248
სესხის პროცენტის გადახდა		-388
დივიდენდების გადახდა	-780000	-280000
წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან	-780000	-314636
წმინდა ზრდა (კლება) ფულსა და ფულის ეკვივალენტებში	140960	98997
სავალუტო კურსის ეფექტი	5939	32695
ფული და ფულის ეკვივალენტები პერიოდის დასაწყისში	178945	47253
ფული და ფულის ეკვივალენტები პერიოდის ბოლოს	325844	178945

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაქვეყნებლად 30.09.2021 წ.

უფლებამოსილი პირი: _____ იუსუფ იარარი

თანხლები განმარტებითი შენიშვნები არის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილი.

**ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის**

1. ზოგადი ნაწილი

1.1. შპს „ფერმო ფენსი“ (შემდგომში – კომპანია) წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, რომელიც მოქმედებს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანია დარეგისტრებულია 2010 წლის 05 მარტს საჯარო რეესტრში კომპანიის საიდენტიფიკაციო კოდია - 404856107, იურიდიული მისამართი - საქართველო, ქ. თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონში, დიდი დილომი ფარნავაზის გამზ. ავტოსადგომის (პურის საცხოვრის) მიმდებარედ. კომპანია დარეგისტრებულია დღგ-ის გადამხდელად 2010 წლის 24 მარტს.

1.2. კომპანიის ერთადერთი, 100%-იანი წილის მფლობელია სალიპ სელმან აპაიდინ, (პ.ნ.41260946608, U 01373806, 01495000263).

1.3. კომპანიის დირექტორია სალიპ სელმან აპაიდინ, (პ.ნ.41260946608, U 01373806, 01495000263)).

1.4. კომპანიის ძირითადი ეკონომიკური საქმიანობაა საცალო ვაჭრობა რკინა-კაველით, საღებავებით და მინით სპეციალიზებულ მაღაზიებში, საბითუმო ვაჭრობა რკინა-კაველით, წყალგაყვანილობის და გასათბობი მოწყობილობებით და ინვენტარით, მზა ლით.ნაკ.წარ-ბა მანქანა და მოწყობილობების გარდა. ასევე სხვა საქმიანობა, რომელიც არ არის აკრძალული საქართველოს კანონმდებლობით.

1.5. კომპანია საანგარიშგებო პერიოდში ეკონომიკურ საქმიანობას ახორციელებდა ლოკაციის 2 ადგილიდან (თბილისი, ბათუმი).

1.6. კომპანიას 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, არ ჰყავს მეკავშირე საწარმო.

1.7. წესდების მიხედვით, საანგარიშგებო წელი გრძელდება 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით.

2. მომზადების საფუძველი და გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკა

2.1. 2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, გამოყენებულია ამ თარიღის მდგომარეობით მოქმედი მსს ფასს (ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი მცირე და საშუალო საწარმოებისათვის).

ამასთან, კომპანია წარმოადგენს მესამე კატეგორიის საწარმოს „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს 2016 წლის 8 ივნისის კანონის თანახმად. აღნიშნული კანონიდან გამომდინარე, კომპანიას არ ევალება წლიური ფინანსური ანგარიშგების აუდიტი.

2.2. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია საქმიანობის უწყვეტობის და პირვანდელი (ისტორიული) ღირებულების პრინციპის გათვალისწინებით. აღრიცხვა-ანგარიშგების ფუნდამენტური სააღრიცხვო პრინციპი - დარიცხვის მეთოდი დაცულია. სააღრიცხვო შეფასებები და ძირითადი დაშვებები ყოველწლიურად გადაიხედება. სააღრიცხვო შეფასების ცვლილების აღიარება ხდება იმ პერიოდში, როდესაც ხდება შეფასებების გადახედვა და ასევე შესაბამის მომავალ პერიოდებში.

2.3. გათვალისწინებულია მსს ფასს-ის ძირითადი დაშვება - ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპი, რაც გულისხმობს, რომ კომპანიის მენეჯმენტი არ გეგმავს და არ მოელის, რომ მინიმუმ უახლოესი ერთი წლის განმავლობაში კომპანია შეწყვეტს ფუნქციონირებას, ან მოხდება მისი საქმიანობის მასშტაბის არსებითი შეზღუდვა. შესაბამისად, კომპანიის 2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ამ დაშვების გათვალისწინებით, რაც გულისხმობს, რომ აქტივების რეალიზაცია/გასვლა და ვალდებულებების დაფარვა ხორციელდება ბიზნესის ჩვეულებრივი მსვლელობისას.

2.4. კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი ემთხვევა კალენდარულ წელს (1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე).

2.5. კომპანიის მიერ გამოყენებულია შემდეგი სააღრიცხვო პოლიტიკა:

შემოსავლების აღიარება

შემოსავლების აღიარება ხდება პროდუქციის გაყიდვიდან ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში მისაღები ან მიღებული თანხის სამართლიანი ღირებულებით, დარიცხვის მეთოდის შესაბამისად.

საექვო მოთხოვნების აღიარება

კომპანიის საექვო მოთხოვნების სიდიდე განისაზღვრება ინდივიდუალურად თითოეული დებიტორული დავალიანების შესწავლის გზით. თუ დებიტორული დავალიანების წარმოშობიდან გასულია 3 წელი ან მეტი, ეს წარმოადგენს წინაპირობას მისი 100%-იანი გაუფასურებისათვის, თუმცა ყოველ ცალკეულ შემთხვევაში ხდება დამატებითი განსჯა, საჭიროა თუ არა მოთხოვნის გაუფასურების ანარიცხის აღიარება.

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები

ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების ამორტიზებული ღირებულება ყოველი საანგარიშგებო პერიოდისთვის წარმოადგენს შემდეგი სიდიდეების ნეტო ღირებულებას:

(ა) თანხა, რომლითაც ფინანსური აქტივი ან ფინანსური ვალდებულება შეფასებულია თავდაპირველი აღიარებისას;

(ბ) გამოკლებული ძირი თანხის დასაფარად გადახდილი თანხები;

(გ) მიმატებული ან გამოკლებული დაგროვილი ამორტიზაციის თანხა, რომელიც მიიღება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით თავდაპირველად აღიარებულ და დასაფარ თანხებს შორის განსხვავების მიმართ; და

(დ) გამოკლებული, ფინანსური აქტივის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალის ან უიმედო ვალის შემცირების თანხა (პირდაპირ, ან რეზერვების ანგარიშების გამოყენებით).

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები, რომლებსაც არ გააჩნია ნომინალური საპროცენტო განაკვეთი, დაკავშირებული არ არის ისეთ შეთანხმებასთან, რომელიც ფინანსურ ოპერაციას წარმოადგენს და კლასიფიცირდება, როგორც მოკლევადიანი აქტივები ან მოკლევადიანი ვალდებულებები, თავდაპირველად შეფასდება არადისკონტირებული ღირებულებით. აქედან გამომდინარე, მათზე არ ვრცელდება ზემოაღნიშნული (გ) პუნქტის მოთხოვნა.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი არის ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების (ან ფინანსური აქტივების, ან ფინანსური ვალდებულებების ჯგუფის) ამორტიზებული ღირებულების გამოთვლისა და საპროცენტო შემოსავლების ან ხარჯების შესაბამის პერიოდზე მიკუთვნების მეთოდი. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომლის მეშვეობით ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი ვადის ან, როდესაც შესაფერისია, უფრო მოკლე ვადის განმავლობაში მისაღები ან გადასახდელი სავარაუდო ფულადი სახსრები ზუსტად დისკონტირდება ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების წმინდა საბალანსო ღირებულებამდე. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი უნდა განისაზღვროს ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების საბალანსო

ღირებულებაზე დაყრდნობით, რომელიც მას გააჩნია საწყისი აღიარებისას. ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის მიხედვით:

(ა) ფინანსური აქტივის (ვალდებულების) ამორტიზებული ღირებულება არის მომავალში მისაღები (გადასახდელი) ფულადი სახსრების დღევანდელი ღირებულება, რომელიც დისკონტირებულია ეფექტური საპროცენტო განაკვეთით; და

(ბ) პერიოდის საპროცენტო ხარჯი (შემოსავალი) ტოლია მოცემული პერიოდის ეფექტური საპროცენტო განაკვეთისა და ფინანსური ვალდებულების (აქტივის) საბალანსო ღირებულების ნამრავლის, რომელიც მას ჰქონდა პერიოდის დასაწყისში.

გარიგებები უცხოურ ვალუტაში

გარიგებები უცხოურ ვალუტაში კონვერტირდება კომპანიის შესაბამის ფუნქციონალურ ვალუტაში ტრანზაქციების განხორციელების დღეს საქართველოს ეროვნული ბანკის (სებ) მიერ დადგენილი ოფიციალური სავალუტო გაცვლითი კურსის მიხედვით. ანგარიშგების თარიღისთვის, უცხოურ ვალუტაში წარმოდგენილი ფულადი აქტივები და ვალდებულებები გადაიცვლება ფუნქციონალურ ვალუტაში, ამავე თარიღისთვის არსებული გაცვლითი კურსის მიხედვით. უცხოურ ვალუტაში წარმოდგენილი არაფულადი აქტივები და ვალდებულებები, რომლებიც დაიანგარიშდება სამართლიანი ღირებულებით, კონვერტირდება ფუნქციონალურ ვალუტაში სამართლიანი ღირებულების განსაზღვრის დღისთვის არსებული ვალუტის გაცვლის კურსის მიხედვით. არაფულადი ერთეულები უცხოურ ვალუტაში, რომელიც გამოთვლილია ისტორიული ღირებულების საფუძველზე, გადაყვანილია ტრანზაქციის თარიღისთვის მოქმედი გაცვლითი კურსით. ვალუტის გადაფასებით გამოწვეული სავალუტო საკურსო სხვაობები აისახება პერიოდის მოგებაში ან ზარალში.

დაქირავებულ პირთა გასამრჯელოები

თანამშრომელ პირთა გასამრჯელოები აღიარდება შესრულებული სამუშაოს საფუძველზე არადისკონტირებული ღირებულებით და შესაბამისად აისახება ხარჯებში. ასანაზღაურებელი თანხა აღიარდება მოკლევადიანი ვალდებულების სახით.

მარაგები

მარაგები აღირიცხება უწყვეტი მეთოდით. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, ისინი შეფასებულია თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. წმინდა სარეალიზაციო ღირებულება არის ბიზნესის ჩვეულებრივ პირობებში საქმიანობისას არსებული აქტივის გასაყიდი ფასი შემცირებული იმ მოსალოდნელი

დანახარჯებით, რომლებიც დაკავშირებულია აქტივის გაყიდვასთან. მარაგების ჩამოწერა ხდება სპეციფიკური იდენტიფიკაციის მეთოდის საშუალებით, თუ ეს შესაძლებელი და მიზანშეწონილია, ხოლო სხვა შემთხვევებში - საშუალო ფასთა მეთოდის გამოყენებით.

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფულად სახსრებს და მათ ეკვივალენტებს კომპანიისთვის წარმოადგენს ფული მიმდინარე საბანკო ანგარიშებზე.

გრძელვადიანი აქტივები

ა) ძირითადი საშუალებების, საინვესტიციო ქონების და არამატერიალური აქტივების აღრიცხვისათვის გამოიყენება თვითღირებულების მოდელი.

ბ) ძირითადი საშუალებებისა და საინვესტიციო ქონების ცვეთისათვის გამოიყენება წრფივი მეთოდი. ამასთან, ცვეთის დარიცხვა იწყება იმ თვიდან, როდესაც ძირითადი საშუალების/საინვესტიციო ქონების გამოყენება დაიწყო, ხოლო იმ თვეში, როდესაც მოხდა ძირითადი საშუალების/საინვესტიციო ქონების გასვლა, ცვეთის დარიცხვა არ ხდება.

გ) ძირითადი საშუალებებისა და საინვესტიციო ქონების ცვეთა ხდება საბალანსო და სალიკვიდაციო ნარჩენ ღირებულებებს შორის სხვაობიდან სასარგებლო სამსახურის ვადის გათვალისწინებით. თუ კონკრეტული ძირითადი საშუალებისთვის ან საინვესტიციო ქონებისთვის ნარჩენი სალიკვიდაციო ღირებულება განსაზღვრული არ არის, ის ჩაითვლება ნულის ტოლად, ხოლო თუ სასარგებლო სამსახურის ვადა არ არის დადგენილი, ცვეთის დარიცხვა ხდება შემდეგი წლიური საპროცენტო განაკვეთების მიხედვით:

შენობა-ნაგებობები - 25 წელი

კომპიუტერული ტექნიკა - 5 წელი;

ავეჯი - 5 წელი;

სარეკლამო საშუალებები - 5 წელი;

სატრანსპორტო საშუალებები - 5 წელი;

სხვა ამორტიზებადი ძირითადი საშუალებები - 6,67 წელი;

იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა - 6,67 წელი;

სხვა ძირითადი საშუალებები - 2 წელი.

დ) არამატერიალური აქტივების ამორტიზაციისათვის გამოიყენება:

- იმ არამატერიალური აქტივებისათვის, რომელთაც აქვთ შეზღუდული სასარგებლო მომსახურების ვადა და ეს ვადა განსაზღვრულია, გამოიყენება ამორტიზაციის დარიცხვის წრფივი მეთოდი მათი სასარგებლო სამსახურის ვადის შესაბამისად;

- იმ არამატერიალური აქტივებისათვის, რომელთაც აქვთ შეზღუდული სასარგებლო მომსახურების ვადა, მაგრამ ეს ვადა ცალსახად განსაზღვრული არ არის, გამოიყენება ამორტიზაციის დარიცხვის წრფივი მეთოდი წლიური საპროცენტო განაკვეთით - 10%;

- არამატერიალური აქტივები განუსაზღვრელი სასარგებლო მომსახურების ვადით არ ამორტიზდება.

მენეჯმენტის მოსაზრებით, ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას არ არსებობს კრიტიკული გადაწყვეტილებები, რომელსაც შეუძლია გავლენა იქონიოს ფინანსური ანგარიშგების მუხლებში აღიარებულ თანხებზე და არ არსებობს ვარაუდები და შესაძლო გაურკვევლობები, რომელიც შეიძლება შეიცავდეს არსებითი კორექტირებების მნიშვნელოვან რისკებს მომავალი ფინანსური წლის შედეგებზე.

2.6. გადასახადები

2016 წელს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი მოგების გადასახადის რეფორმის შესახებ (რომელიც ასევე ცნობილია მოგების გადასახადის „ესტონური მოდელის“ სახელით), რაც ნიშნავს დაბეგვრის მომენტის გადატანას მოგების გამომუშავების თარიღიდან მისი გაცემის თარიღამდე. კანონი ძალაშია საგადასახადო პერიოდებისთვის 2017 წლის 1 იანვრის შემდეგ ყველა იურიდიული პირისთვის, გარდა ფინანსური დაწესებულებებისა (როგორც არის ბანკები, სადაზღვევო კომპანიები, მიკროსაფინანსო ორგანიზაციები, საკრედიტო კავშირები და და დადგენილი წესით რეგისტრირებული სესხის გამცემი სუბიექტები), რომლებისთვისაც კანონი მოგვიანებით შედის ძალაში (2023 წლის 1 იანვრიდან). კომპანიის დაბეგვრა მოგების გადასახადით ხდება „ესტონური მოდელის“ შესაბამისად.

ახალი საგადასახადო სისტემიდან გამომდინარე, საქართველოში რეგისტრირებულ კომპანიებს, როგორც წესი, არ წარმოეშვებათ დროებითი სხვაობები კომპანიის საგადასახადო ვალდებულებებსა და მათ საბალანსო ღირებულებებს შორის. შესაბამისად, 2017 წლიდან მათ არ აქვთ გადავადებული საგადასახადო აქტივები და გადავადებული მოგების გადასახადის ვალდებულებები (გარდა იშვიათი გამონაკლისი შემთხვევებისა).

2017-2020 წლებში საქართველოში მოგების გადასახადის განაკვეთი 15%-ს შეადგენდა.

2.7. წარდგენის ვალუტა და ერთეულის სიზუსტე

საქართველოს ეროვნულ ვალუტას წარმოადგენს ქართული ლარი, რომელიც არის კომპანიის ფუნქციონალური ვალუტა და აგრეთვე ვალუტა, რომელშიც არის წარმოდგენილი კომპანიის ფინანსური ანგარიშგება. ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია 1 (ერთი) ლარის სიზუსტით.

2.8. გაცვლითი სავალუტო კურსები

სავალუტო ფულადი მუხლებისათვის გამოყენებულია შემდეგი ოფიციალური გაცვლითი კურსები, დადგენილი საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ:

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

1 USD=3.2766 ლარი;

1 EUR=4.0233 ლარი.

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

1 USD=2.8677 ლარი;

1 EUR=3.2095 ლარი.

საშუალო სავალუტო გაცვლითი კურსი შეადგენდა:

2020 წელს: 1 USD=3.0937 ლარი; 1 EUR=3.5395 ლარი.

2019 წელს: 1 USD=2.8192 ლარი; 1 EUR=3.1553 ლარი.

3. ფინანსური ანგარიშების მუხლების განმარტებითი შენიშვნები

3.1. ფული და ფულის ეკვივალენტები:

	ნაშთი 31.12.2020 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2019 მდგომარეობით
ნაღდი ფული სალაროში	0	0
ლარი საბანკო ანგარიშებზე	139805	110540
აშშ დოლარები საბანკო ანგარიშებზე	185546	68397
ევროები საბანკო ანგარიშებზე	493	8
სულ:	325844	178945

კომპანიას ანგარიშები გახსნილი აქვს საქართველოს რამოდენიმე კომერციულ ბანკში სს „თიბისი ბანკი“, სს „საქართველოს ბანკი“ და სს „ზირაათ ბანკში“.

3.2. სავაჭრო მოთხოვნები:

	ნაშთი 31.12.2020 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2019 მდგომარეობით
სავაჭრო მოთხოვნები საქონლის გაყიდვიდან (რეზიდენტი დებიტორები)	299215	344560
სავაჭრო მოთხოვნები საქონლის გაყიდვიდან (არარეზიდენტი დებიტორები)	1400	34991
სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურება	-30755	-19280
სულ:	269861	360271

2020 წლის ბოლოსათვის, კომპანიას სავაჭრო მოთხოვნები არის გადაუხდელი მოთხოვნები საქართველოს რეზიდენტი და არარეზიდენტი იურიდიული და ფიზიკური პირების წინაშე, სულ - 141 დებიტორი 31.12.2020 წ. მდგომარეობით.

3.3. გადახდილი ავანსები და დარიცხული მისაღები შემოსავალი:

	ნაშთი 31.12.2020 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2019 მდგომარეობით
რეზიდენტ მიმწოდებლებზე გადახდილი ავანსები	53438	138057
არარეზიდენტ მიმწოდებლებზე გადახდილი ავანსები	133728	202422
სულ:	187167	340479

2020 წლის ბოლოსათვის კომპანიის მიერ გადახდილი ავანსები და დარიცხული მისაღები შემოსავალი შედგება როგორც რეზიდენტ ასევე არარეზიდენტ საწარმოზე გადახდილი ავანსებისა და ანგარიშვალდებული პირების მიმართ მოთხოვნებისაგან. ასევე წინასწარ გადახდილი სადაზღვევო შენატანისაგან.

3.4. მარაგები:

	ნაშთი 31.12.2020 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2019 მდგომარეობით
გასაყიდი საქონელი	2444691	0
ნედლეული და მასალები	7182	0
მზა პროდუქცია	9487	23757
სხვა მარაგი	819	1769362
სულ:	2462179	1793119

მარაგები შედგება სარემონტო რკინა-კავეულის მასალებისა და სპორტულ გასართობი დანიშნულების საქონელისაგან, ასევე საწვავ-საცხები მასალებისაგან.

3.5. სხვა მიმდინარე აქტივები:

	ნაშთი 31.12.2020 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2019 მდგომარეობით
წინასწარ გადახდილი ავანსის დღე	8864	5376
წინასწარ გადახდილი მოგება	0	43191
ჩასათვლელი დღე	23040	64966
სხვა	89358	21981
სულ:	121262	135514

3.6. ძირითადი საშუალებები:

	ნაშთი 31.12.2020 მდგომარეობით	2020 წელი ზრდა ან შემცირება	2020 წელი დარიცხული ცვეთა	ნაშთი 31.12.2019 მდგომარეობით	2019 წელი ზრდა ან შემცირება	2019 წელი დარიცხული ცვეთა	ნაშთი 01.01.2019 მდგომარეობით
მიწის ნაკვეთები	289019			289019	0	0	289019
ნაგებობები	6237	0	341	6579	0	341	6920
კომპიუტერული ტექნიკა და პერიფერიული მოწყობილობები	9210	3842	2740	8108	5660	1671	4119
ავეჯი	6931	7821	1896	1006	950	776	832
სარეკლამო საშუალებები	257	0	220	478	0	220	698
მსუბუქი ავტომობილები	37090		14787	51877	29532	13802	36147
სხვა ავტოტრანსპორტი	17314	12724	5217	9807	0	4563	14370
სხვა ამორტიზირებადი ძირითადი საშუალებები	49519	17124	24016	56410	4352	22670	74728
იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	73074	62953	12444	22566	15035	6101	13632
მცირეფასიანი ძირითადი საშუალებები	9564	12699	7979	4844	4238	4486	5092
არამატერიალური აქტივები	1947	676	271	1543	379	271	1435
დაუმთავრებელი მშენებლობა	600	-40555		41155			
სულ:	500763	117839	69912	493391	60146	54902	446992

კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკით, ძირითადი საშუალებების მიმართ გამოიყენება თვითღირებულების მოდელი.

ძირითადი საშუალებების ერთიანი დაგროვილი ცვეთის თანხა შეადგენდა:

2020 წლის ბოლოს - 301418 ლარი;

2019 წლის ბოლოს - 231777 ლარი.

არამატერიალური აქტივები შედგება საბუღალტრო პროგრამა „ინფო-ბუღალტერი“-ს და საქპატენტიდან მიღებული მოწმობისაგან, არამატერიალური აქტივების ერთიანი დაგროვილი ამორტიზაციის თანხა შეადგენდა:

2020 წლის ბოლოს - 2068 ლარი;

2019 წლის ბოლოს - 1797 ლარი.

3.7. სავაჭრო ვალდებულებები:

	ნაშთი 31.12.2020 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2019 მდგომარეობით
დავალიანება არარეზიდენტი მიმწოდებლების მიმართ	50395	362252
დავალიანება რეზიდენტი მიმწოდებლების მიმართ	27475	6992
სულ:	77869	369244

3.8. საგადასახდო ვალდებულებები:

	ნაშთი 31.12.2020 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2019 მდგომარეობით
შემდგომ პერიოდში დასადეკლარირებელი საგადასახდო ვალდებულებები	3292	2473
სულ:	3292	2473

3.9 გამოუმუშავებელი შემოსავალი და სხვა ვალდებულებები:

	ნაშთი 31.12.2020 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2019 მდგომარეობით
მიღებული ავანსები	64294	52701
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	15338	0
სულ:	79631	52701

3.10 ნეტო ამონაგები

კომპანიის ნეტო ამონაგები მთლიანად შედგებოდა რკინა-კავეულისა და სხვა სამშენებლო-სარემონტო მასალების რეალიზაციით მიღებული შემოსავლებისგან.

3.11. ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი:

	2020 წელი	2019 წელი
რეკლამის ხარჯები	(92)	(1758)
მზა პროდუქციის ტრანსპორტირების და შენახვის ხარჯები	(15281)	(5051)
მიწოდების სხვა ხარჯები	(2436)	(13443)
საკანცელარიო ხარჯები	(2401)	(3638)
კომუნიკაციის ხარჯები	(10850)	(8754)
საერთო დანიშნულების დაზღვევის ხარჯები	(6623)	(4443)
საწვავის ხარჯები (საერთო-ადმინისტრაციული)	(12824)	(12715)
ელექტროენერგია და გაზი (საერთო-ადმინისტრაციული)	(10231)	(11787)
საკონსულტაციო და აუდიტის ხარჯები	(12288)	(5085)
საექვო მოთხოვნებთან დაკავშირებული ხარჯები	(63373)	(19280)
ქონების გადასახადის და სხვა საგადასახადო ხარჯები	(2307)	(1583)
საბანკო ხარჯები	(51417)	(22276)
მივლინების ხარჯები (საერთო-ადმინისტრაციული)	(1423)	(5569)
ავტომანქანების და მს. საექსპლუატაციო ხარჯი	(3725)	(11457)
წარმომადგენლობითი ხარჯები		(505)
სხვა საერთო-ადმინ. ხარჯები	(31998)	(29809)
სულ:	(227268)	(157152)

3.12. სასამართლო დავები

კომპანიას 2020 წლის განმავლობაში სასამართლო დავები არ ჰქონია.

3.13. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მოვლენები

2020-2021 წლებში ადგილი ჰქონდა შემდეგ მნიშვნელოვან მოვლენას: მსოფლიო მასშტაბით, გავრცელდა ახალი კორონავირუსი COVID-19, რაც მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის მიერ 2020 წლის 11 მარტს, გამოცხადებულ იქნა პანდემიად. ეს ვითარება გაგრძელდა 2021 წელსაც. 2020 წლის ფინანსური ანგარიშგების ხელმოწერის თარიღისათვის, პანდემია დამარცხებული არ არის.

გარდა ზემოთ აღნიშნული მოვლენისა, საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ არ მომხდარა სხვა რაიმე სახის მნიშვნელოვანი მოვლენა, რომელიც გამოიწვევდა ფინანსური ანგარიშგების შესწორებას ან/და განმარტებით შენიშვნებში ასახვას.

3.14. დაკავშირებულ მხარეთა ოპერაციები

2020 წელს, კომპანიას არ ჰქონია დაკავშირებულ მხარეებთან ისეთი ოპერაციები, რომლებზეც გავლენას იქონიებდა მხარეთა შორის არსებული ურთიერთობები.

3.15. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ 2021 წლის 30 სექტემბერს.

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

(1 ლარი)

	საანგარიშგებო თარიღი		შენიშვნა
	31.12.2020	31.12.2019	
აქტივები			
ფული და ფულის ეკვივალენტები	325844	178945	3.1
სავაჭრო მოთხოვნები	269861	360271	3.2
გადახდილი ავანსები და დარიცხული მისაღები შემოსავალი	187167	340479	3.3
მარაგები	2462179	1793119	3.4
მ.შ. - მზა პროდუქცია	9487	23757	
- სხვა მარაგი	2452692	1769362	
საინვესტიციო ქონება			
სხვა მიმდინარე აქტივები	121262	135514	3.5
სხვა არამატერიალური აქტივები	1947	1542	3.6
ძირითადი საშუალებები	498817	491849	3.6
სულ აქტივები	3867077	3301719	
ვალდებულებები			
ფინანსური იჯარის (ლიზინგის) ვალდებულება			
სავაჭრო ვალდებულებები	77869	369244	3.7
ვალდებულებების და ხარჯების ანარიცხები			
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	4023	502	
საგადასახადო ვალდებულებები	3292	2473	3.8
გამოუმუშავებელი შემოსავალი	79631	52701	3.9
მიმდინარე სასესხო ვალდებულებები			
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები			
მიღებული გრანტებიდან წარმოქმნილი ვალდებულებები			
სხვა ვალდებულებები			
სულ ვალდებულებები	164815	424920	
საკუთარი კაპიტალი			
კაპიტალი (სააქციო კაპიტალი, საპაიო კაპიტალი)	50	50	
გაუნაწილებელი მოგება/ზარალი	3702212	2876749	
სულ საკუთარი კაპიტალი	3702262	2876799	
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	3867077	3301719	

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაქვეყნებლად 30.09.2021 წ.

უფლებამოსილი პირი:  შ.პ.ს "ფერმო ფენსი" Fermo Fence Ltd.
404 856 107 იუსუფ იარარი

თანხვლები განმარტებითი შენიშვნები არის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილი.

საქმიანობის შედეგები

2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

(1 ლარი)

	საანგარიშგებო პერიოდი		შენიშვნა
	20120	2019	
ნეტო ამონაგები	10922463	9483949	3.10
მ.შ. - საქონლის გაყიდვიდან	10922463	9483949	
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	-8154199	-7336894	3.11
- საწყისი მარაგები		-1396085	
- მარაგების შესყიდვა		-7733927	
საერთო მოგება	2768264	2147055	
სხვა საოპერაციო შემოსავალი	18	7806	
დასაქმებულთა ანაზღაურება	-487858	-382520	
ცვეთა და ამორტიზაცია	-69912	-54901	
საპროცენტო შემოსავალი		2	
საპროცენტო ხარჯი		-388	
იჯარის ხარჯი	-207031	-201407	
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	-227268	-157152	
სულ საოპერაციო ხარჯები	-992051	-788560	
საოპერაციო მოგება	1776213	1358495	
წმინდა შემოსულობა/ დანაკარგი სავალუტო ოპერაციებიდან	-19312	-24256	
მიღებული დივიდენდები			
სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი/ ხარჯი	30321	11956	
მოგება/ზარალი მოგების გადას. ხარჯამდე განგრძ. ოპერაციებიდან	1787222	1346195	
მოგების გადასახადის ხარჯი	-140706	-2667	
საანგარიშგებო პერიოდის მოგება/ ზარალი	1646516	1343528	
სხვა სრული შემოსავალი/ ზარალი			
ძირითადი საშუალებების გადაფასების რეზერვი (მ.შ. ბიოლ. აქტივების)			
სხვა			
სხვა სრული შემოსავალი/ ზარალი, სულ:			
მთლიანი სრული შემოსავალი/ზარალი	1646516	1343528	
კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	2876799	1828008	
ახალი აქციების გამოშვება (შპს-ში კაპიტალის გაზრდა/შემცირება)			
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)	-821053	-294737	
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში			
კაპიტალის სხვა ცვლილებები			
კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	3702262	2876799	

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაქვეყნებლად 30.09.2021 წ.

უფლებამოსილი პირი:

 **Fermo Fence Ltd.**
404 856 107

იუსუფ იარარი

თანმხლები განმარტებითი შენიშვნები არის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილი.

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება
2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის
(1 ლარი)

	საანგარიშგებო პერიოდი	
	2020	2019
ს ა ო პ ე რ ა ც ი ო ს ა ქ მ ი ა ნ ო ბ ა:		
მომხმარებლებისგან მიღებული ფულადი სახსრები	12893103	11110006
მომწოდებლებსა და დასაქმებულ პირებზე გაცემული ფულადი სახსრები	-9810621	-8588278
სხვა	-1923889	-2005917
საოპერაციო საქმიანობიდან შემოსული ფულადი სახსრები	1158593.8	515811
გადახდილი მოგების გადასახადი	-111454	-1255
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	1047139.75	514556
ს ა ი ნ ვ ე ს ტ ი ც ი ო ს ა ქ მ ი ა ნ ო ბ ა:		
ფულადი სახსრების გასვლა გრძელვადიანი აქტივების შეძენისა და გაუმჯობესებისათვის	-126180	-100923
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან	-126180	-100923
ს ა ფ ი ნ ა ნ ს ო ს ა ქ მ ი ა ნ ო ბ ა:		
ფულადი სახსრების შემოსვლა სესხებიდან		
სესხის ძირის გადახდა		-34248
სესხის პროცენტის გადახდა		-388
დივიდენდების გადახდა	-780000	-280000
წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან	-780000	-314636
წმინდა ზრდა (კლება) ფულსა და ფულის ეკვივალენტებში	140960	98997
სავალუტო კურსის ეფექტი	5939	32695
ფული და ფულის ეკვივალენტები პერიოდის დასაწყისში	178945	47253
ფული და ფულის ეკვივალენტები პერიოდის ბოლოს	325844	178945

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაქვეყნებლად 30.09.2021 წ.

 შპს "ფერმო ფენსი"
Fermo Fence Ltd.
 404 856 107

უფლებამოსილი პირი: _____ იუსუფ იარარი

თანხლები განმარტებითი შენიშვნები არის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილი.